



წელიწადი მესამე

წელიწადი მესამე



სამეურნეო ჟურნალი

გოსავალი



მარტოვლისთვის 1.

№ 15

„გოსავალი“ ითვლება უცვლელად გამოდგომის „საქონლის“ მფლობელთა მიერ, რომელთაც აქვთ მიწის ნაკვეთი და მათთვის მისი მოვლა და მოხმარება უნდა შეეძლოს. ამის მიზნით „გოსავალი“ ითვლება უცვლელად გამოდგომის „საქონლის“ მფლობელთა მიერ, რომელთაც აქვთ მიწის ნაკვეთი და მათთვის მისი მოვლა და მოხმარება უნდა შეეძლოს.

შინაარსი:

ვ. რცხილაძე	სანატრული ქვეყანა, — (გარეულის თხზულებიდან).	3
უ. ჩხეიძე	ფუტკარი	5
	ხილის საბაზროთ გადარჩევა	9
გრ. ცხადაძე	შინაურ ცხოველთა ტანში შეკვრა ანუ ყაბზობა	14
საყურადღებო ცნობები:		
	ახალი ჯიშის კართფიდი „მიკალო“	15
	სიმინდის თესვის აჩქარვა	16



სამეურნეო ჟურნალი

პოსკალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი ზარებისა: — ახოველი ვ., ანაზდელი, ახალია ი., ბერეკაშვილი კ., გულბათიშვილი ვ., გვარამაძე კ., გორთაშვილი ვ., ედილაშვილი ზ., ვაჭროშვილი ვ., თაქთაქიშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., კანელიძე ს., კარბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მანაბელი ა., მდივანი დ., მჭედლიშვილი ვ., ნახუცრიშვილი გ., ონიკოვი კ., როლოვი ა., რცხილაძე ვ., რცხილაძე ს. ვ., რცხილაძე ს. ვ., ფურცელაძე ი., ფალავანიშვილი დ., ქუთათელაძე ი., ქათამაძე მ., ქარცივაძე ვ., ყიფიანი პ., ჩივაძე გ., ცხაძე გ., ხუნდაძე ს., შავლიყვი პ., ჟანაშვილი მ., ჯიქია ლ., კახელი მევენახე, სემიონოვი ექიმი.
რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საშუალებობა.

ჟურნალის შემოსავლიდან გაიტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზღთ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექენაგასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.

რედაქციის ადრესი: Тифлиς, Барятинская, 5. «МОСАВЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**

სანატრელი ქვეყანა

(გარეულის თხზულებიდან)

ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ მეურნეობით სწორედ რომ სანატრელ ქვეყანად გარდაიქცნენ.

ერთ უმთავრესთაგან მხარეს მათ სანატრელ მდგომარეობისას შეადგენს ის ალტაცება, რომელსაც ყოველი ამერიკელი გრძნობს თავის სამშობლოს მეურნეობისა და მეურნეობისადმი.

ეს მათდამი სიყვარული შედეგია იქ არსებული დღეს სამეურნეო სწავლავანათლებლის ზედგავლენისა დიდსა და პატარაზე, ქალსა და ვაჟზე.

უწინ იქაც, როგორც დღეს ჩვენში, მეურნე უბრალო მიწის მუშად ითვლებოდა.

დიდი მემამულე სცხოვრობდა გაუჭირებელივ თავისი მამულის შემოსავლით, რომელიც მას უჩხუბოთ, უდავიდარაბოთ შემოსდიოდა მშამზავრეულად იმათიდან, ვინც ამ მამულზე მუშაობდნენ. პატარა მამულის პატრონები კი ყელთამდე ვალებში იყვნენ, არ იცოდნენ როგორ დაეხსნათ თავი სიღარიბისაგან და ძალაუნებურად ყოველნაირ გაჭირებას ითმენდნენ. მხოლოდ ერთი-ორი გამოდიოდა პიონერად, რომელიც სიხარულით იტანდა ყოველ შევიწროებას, ოღონდ კი მიედწია მიზნისათვის, რომლისთვისაც იგი იბრძოდა.

განვლო დრომ. სამეურნეო სასწავლებლებში კურს-შესრულებულ ახალთაობას ეცვალა აზრი.


ცხადლივ დაინახა მან, რომ ისეთივე საქმიანობა როგორც ბანკირისათვის არის საჭირო, მეურნესაც უნდა ჰქონ-

დეს; რომ ჭუჭყიან-ტურტიანი ცხოვრება სოფლად, მინდვრად, უსუფთაობა სახლში, კარმიდამოში, კალოზე მეურნეს წილად როდი აქვს ნარგები; პირიქით, მას შეუძლიან ისეთი სისუფთავე და წესიერება დაიცვას თავის მამულში, რომელიც სასიამოვნოდ გახდის იქ ცხოვრებას.

რასაკვირველია, პირველად იმათშიაც ხდებოდა ის, რაც დღეს ჩვენში ხდება. სამეურნეოდ მოსამზადებლად ყმაწვილები სწავლობდნენ ცოტა ლათინურსაც, ცოტა ნემენცურსაც, ეწვალეობდნენ ისტორიას, ლოლიკას, მთელ წელიწადს ამდომებდნენ მათემატიკას, საღმთო სჯულს. იქ ნასწავლი მოწაფე არ იყო არც მეურნეობისათვის, არც ბანკირობისათვის და არც სხვა რამ მოღვაწეობისათვის კარგად მომზადებული. ამითი აიხსნება ის, რომ იქ სამეურნეო სწავლა-დამთავრებული ყმაწვილი კაცი ხშირად ადვოკატობაზე სცვლიდა თავის მეურნეობას.

მაგრამ მალე ამ მხრითაც გაუმჯობესოვდა მეურნეობის ვითარება. დაარსდნენ ისეთი სამეურნეო სასწავლებლები, საიდანაც 4 წლის განმავლობაში კურს-შესრულებულნი უბრუნდებოდნენ თავიანთ სოფელს და შინ მუშაობას რჩეობდნენ ქალაქში დარჩენას, ჩინოვნიკებად შესვლას, ბანკებში სამსახურს, თუნდაც რომ პირველადვე კარგი ჯამაგირი დაენიშნათ.

თავისი სოფელი, თავისი პატარა მამული იზიდავდა ახალგაზღობას იმი-



ტომ, რომ ახლად მოწყობილ სკოლაში მიღებულმა სამეურნეო სწავლა-განათლებამ აშკარად დაანახვა მას უპირატესობა სოფელში დამოუკიდებელი ცხოვრებისა, სადაც თითონვე გახდებოდა თავისი თავის ბძანებელიცა და ბატონიც.

ახალი სკოლის წყალობით შესწავლილი აქვს მას ეხლა როგორ უნდა გააკეთოს თითონვე ყოველი სამეურნეო იარაღი, ხისა იქნება, რკინისა თუ ფოლადის, სულ ერთია, რომელიც დასჭირდება მეურნეობაში; იცის სამკედურის გაკეთებაც და სამკედლო საქმეების ასრულებაც, როგორც არის მაგალითად სათიბი, სამკალი, სანიავებელი მაშინების, ფარცხების, გუთნების და სხ. ავეჯ-იარაღების შეკეთება, თუ რამე გაუფუჭდათ.

სამეურნეოთ გამზადებულ ყმაწვილ კაცს თითონ შეუძლიან დაკლას ძროხა, ცხავრი, იცის როგორ მოამზადოს ხორცი გასასყიდად, ისე რომ სასიამოვნო სანახავი იყოს მყიდველისათვის.


უწინ იქაც, როგორც დღეს ჩვენში, ბევრს არ გაეგებოდა სოფელში, რომელი ასოა ხორცისა გემრიელი საქმელი, რომელი არა; ხორცის პატრონი თითონ მეორე-მესამე ხარისხის ხორცს იტოვებდა და სხვას კი, თავისი უცოდინარობით და არა გულკეთილობით, პირველ ხარისხისას აძლევდა იგივე ფასში.

დღეს ამერიკელი მეურნე ისეთი უფიცი როდიდაა. მან მშვენივრად იცის **ასოთ შედგენილობა** (ანოტომია) ძროხის სხეულისა, შედარებითი ფასი მისი თითოეული ასოსი; იცის როგორ აარჩიოს კარგი მეწველი ძროხა, რო-

გორ გაასუქოს საკლავი საქონელიცა კარგ ფასში გასაყიდად, რომელიცა საქმელი აქამოს მწველელ ძროხას, რომ თან რაც შეიძლება მეტი მოიწველოს; იცის ცხენების საუკეთესო მოვლა; შესწავლილი აქვს სად რომელი მცენარე დათესოს ჰავისა და ნიადაგის შესაფერი, რომ კარგი მოსავალი მიიღოს, სად რა ხეხილი დარგას, როგორ მოუაროს, როგორ გააუმჯობესოს ხეხილის ჯიში, როგორ შეინახოს ხილი ზამთარში შინ გამოსაყენებლად ან გასასყიდად; სათითაოდ შეუძლიან ჩამოთვალოს ყველა შამბი-ბალახები, იცნობს მათ თესლს, იცის მათი თვისება, რომელს რა ვნების მოტანა შეუძლიან; იცის რომელ ნიადაგში რომელი მცენარე ხარობს კარგად და რა მიზეზით; წარმოდგენილი აქვს პუროვან მცენარის ხორბალი როგორ ასაზრდოებს ჩვენს სხეულს, როგორ იხარშება ჩვენს კუჭში საქმელი, რომელი საქმელია ჩვენთვის და აგრედვე შინაური ცხოველებისათვის უფრო შემრგო და რა მიზეზით; შესწავლილი აქვს ყველისა და ერბოს მომზადება, იცის შინაური ფრინველების მოშენება და გამოყენება.

ყოველი ეს რაც ზემოთ მოვიხსენიეთ მხოლოდ მცირედ ნაწილს შეადგენს იმ სამეურნეო სწავლა-განვითარებისას, რომელსაც აძლევს დღეს ამერიკის ახალგაზრდობას აწინდელი სამეურნეო სასწავლებელი, საიდანაც კურს-შესრულებულნი სიხარულით მიეშურებიან თავ-თავიანთ სოფლებისკენ ამ ცოდნის გამოსაყენებლად თავიანთ მამულში.

სამეურნეო განათლება ჰვენს თავის მაცხოვარ შუქს ქალთა ცხოვრებასაც. მამაკაცს გვერდში ამოსდგამია სამეურ-



რნეო ასპარეზზე მისი დაც. ქალი ისევე არის სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი, როგორც მისი ძმა ან ქმარი მომავალში. უამისოდ ისინი ცხოვრების უღელს ვერ გასწევდნენ ერთად, სიმწარეს მომავალში უფრო მეტს ნახავდნენ სიხარულზე, ბედნიერება გვერდზე ჩაუვლიდათ.

სამეურნეო ცოდნა, რომელსაც ვაჟები იღებენ, არამც თუ სავალდებულოა ქალებისათვისაც, არამედ ქალები ზედმეტად სწავლობენ თავიანთ საქალოსაოჯახო საქმესაც, რომელიც მაგრერიგად არ აინტერესებს ვაჟებს. ქალების ასე ორმხრივად განათლებას ის შედეგი მოაქვს, რომ სოფლის ახალგაზდობა სოფლადვე ბრუნდება თავის მამულში, სადაც ყოფნა და შრომა სასიამოვნო ხდება, ყველა თავის კერას შეჰხარის და შინ ატარებს ტკბილად თავისუფალ დროს.

როცა შენსავე საკუთარ სახლში გაქვს გულის გასაყოლებლად, შენს ყველა კულტურულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მუსიკაც, მხატვრობაც, წიგნი, ახალი ჟურნალ-გაზეთები; როდესაც ჰხედავ შენს გემოვნებაზე გაშლილს სუფრას, შინ მომზადებულს სუფთად, გონივრული

ყაბრაობით გემრიელ საჭმელ-სასმელს მაშინ სოფელში უბრალო ფიტულისადაც კი ისეთი სასიამოვნო საცხოვრებელი ხდება, როგორც ქალაქში თლილი ჭვისაგან აგებული სასახლე—თავად კიდევაც მეტად სასიამოვნო და არა ნაკლებად.

ამ სანატრელ ქვეყანაში ქალმა ნაკლებ როდი იცის ვაჟზე მცენარის ვითარება, ნიადაგის ავ-კარგიანობის ამოცნობა; როგორც თავისი ხუთი თითი ისე აქვს აქ ქალს შესწავლილი მერძემეყველეობა; იცის სამოსლის გამოკრა, შეკერვა თავისთვისაც და თავის შვილებისთვისაც, თუ ღმერთმა მისცა; უთო, დაკერება, დაბლანდვა, ამოხვევა, მოქსოვა, ეს სულ ამისი ხელობაა და კარგადაც აქვს შესწავლილი.

ჰიგიენა, დიეტეტიკა, ეკონომია—აი ის სფერა, რომელშიაც იქაურ ქალს იმდენი ცოდნა და განვითარება აქვს მიღებული, რომ უმაღლეს სასწავლებელში კურს-შესრულებულ თავის ძმას არ ჩამოუტრეხება.


თუ რამე განსაკუთრებითი ნიჭი გამოაჩნდა, მაშინ კიდევ ადვილად შოობს ყოველგვარ ხელის შეწყობას, რომ ეს ნიჭი ბოლომდე განივითაროს და სოფელი გააბედნიეროს.

ვ. რცხილაძე

ფუტკარი

ფუტკარი და იმისი თაფლი ახალი მოგონილი არ არის, რამდენიმე ათასის წლის წინად ყოფილა კაცისაგან შემქმნეული და საქმეში გამოყენებული. კაცს, როგორც გონიერ ქმნილებას, ეს მწერიც სხვა ცხოველებთან ერთად თავის სასარგებლოდ გაუხდია და სარგებლობაც ბლომად უნახავს მი-

საგან. იმ დროს როდესაც დედამიწის უმეტესი ნაწილი ტყეებით იყო დაფარული, ფუტკარიც მრავალი ყოფილა და კაცისათვის საჭირო არ იყო თვითონ ეშენებინა იგი და მოეგლო მისთვის; კაცი შენიშნავდა რა სად იყო ბლომად ფუტკარი, მივიდოდა დაუქცევდა მას ბინას და მოსტაცებდა თაფ-



ქართული ენის ცენტრი

ლსა და სანთელს. ჯავრი არა ჰქონდა არც მის მოშენებისა და არც გადაშენებისა. შემდეგში, როდესაც ტყეები თანდათან კერძო საკუთრებად გადაიქცა და შეთხელდნენ, კაცმა უფრო რაციონალურად დაიწყო ფუტკრით სარგებლობა: სადაც ფუტკარი ბუდობდა ტყეში, ხეების ფულურობებში, მან შემოკოდა ასეთი ხეები, დაუდგა კოდებიც, ესე იგი ისეთივე გამოფულურობული ხეები, როგორსაც ფუტკრები ეტანებოდნენ და ასე შეიქმნა ის კერძო საკუთრებად. სადაც კაცი პირველად დასდგამდა ამისთანა კოდებს, ან შემოკოდა ხეებს, ის ტყეც და ის ფუტკარიც მის საკუთრებად ითვლებოდა.

თუმცა კაცმა დიდი ხანია ხელი მიჰყო ფუტკრის გაშინაურებას, მის მოვლა-მოშენებას, მაგრამ დღემდის უმეტესობას კიდევ ვერ მიუღწევია იქამდის, რომ ფუტკარიც, როგორც სხვა შინაური ცხოველები, ისე იყოს დაყენებული, რომ მას სიკეთისათვის სიკეთითვე უხდიდნენ; ესე იგი, თუ ის კაცს აძლევს ასეთ ძვირფას ნაწარმოებს, როგორც არის თაფლი და სანთელი, კაციც ისე უვლიდეს მას როგორც სასარგებლო ცხოველს და არ ჟღერებდეს შეუბრალებლად, როგორც არის დღემდის მიღებული ხალხისაგან—ფუტკრის დამსება, წყალში დარჩობა.

რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოების მდივანს ბ-ნ სელივანოვს აქვს ისტორიული აღწერილობა მეფუტკრეობის მდგომარეობისა რუსეთში, რომელიც გამოცემულია 1896 წელს ამავე საზოგადოებისაგან.

ამ აღწერილობაში ბ-ნ სელივანოვს მოჰყავს მრავალი საინტერესო ცნობა რუსეთის ცხოვრებიდან მეფუტკრეო-

ბის შესახებ. მას შეუტკრებიან სხვადასხვა თხზულებიდან, გუჯრებიდან და მშვენიერად ახასიათებს, თუ როგორ მდგომარეობაში იყო წინად რუსეთის მეფუტკრეობა და რა თვალთ შეუტკრებდა მას ხალხი.

ხალხს, როგორც მოგვითხრობს სელივანოვი, ყოველთვის ღვთის წყალობად მიაჩნდა თუ მის ეზოში, ადგილში, საიდანმე ფუტკრის გუნდი შევიდოდა. ყოველი კაცი ცდილობდა დაემსახურებინა ეს ღვთის მოწყალება და როდესაც ეს ეღირსებოდა, ცდილობდა აღარ აღებოდა იგი. ამისათვის ის დიდის მოწიწებით ასრულებდა სხვადასხვა მამა-პაპურ ჩვეულებას: ხარებას და ბზობას საფუტკრეს უკმევდნენ საკმეველს და წმინდანებს სევასტისა და ძოსიმეს, რომელთაც ჩრდილოეთ რუსეთში მეფუტკრეობის გამავრცელებლად სთვლიდნენ, სანთელს უნთებდნენ ღვევდრებოდნენ. „მალოროსიაში“ საფუტკრეს დღესაც ასხურებენ ხოლმე ნათლისღების წყლით და ფუტკარსაც ასმევენ ამ წყალს, რომ კარგად იყაროს.

ხალხის რწმენით თაფლი ითვლება ზეციურ ქმნილებად, რომელიც ზეციდან გადმოდის ყვავილებზე და ყვავილებიდან ჰკრეფს მას ღვთის ფრინველი—ფუტკარი.

საბერძნეთის სწავლულებიც თაფლს ზეციურ ცვარს უძახობდნენ. ფილოლოგიური ღმერთები*) უკვდავნი იყვნენ მისთვის, რომ ისინი იკვებებოდნენ ნექტარით, რომელსაც შეადგენდა ცხრაჯერ გამოხდილი თაფლი. ახალი დაბადებული იუპიტერი, რომელიც მა-

*) იხ. „სამკურნალო თვისება თაფლისა“, თხზულება ლიუბარსკისა.



მის შურს გაუბოდა კრიტის კუნძულზე, იკვებებოდა თაფლითა და რძით და მისი წყალობით შეიქმნა ის ისეთი გმირი, რომ დავაქაცდა თუ არა, წაართვა მამას ტახტი და თვითონ შეიქმნა მისი მფლობელი.


თაფლი უწინდელ დროში ბერძნებს მიაჩნდათ უკვდავების და ნეტარების სიმვლათ. ამიტომ საუკეთესო მსხვერპლად ღმერთებისათვის მიაჩნდათ თაფლი სისხლში არეული. კერპთ თაყვანისმცემლობის დროსაც კი თაფლს ასეთ-სავე მნიშვნელობას აძლევდნენ: სდგამდნენ მიცვალებულების საფლავზე ღ ხან შიგ საფლავშიაც ჩააყოლებდნენ ხოლმე. თაფლს დღესაც არ დაუკარგავს ასეთი მნიშვნელობა: მას ხმარობენ შობის წინა დღეს, კორკოტობას, მიცვალებულების მოსახსენებლად. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თაფლს როგორც კაცის საზრდოს, ამას გვიმტკიცებენ ისტორიული გადმოცემანი: წინამორბედი ივანე ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველები ილია და ელისე სიყრმიდანვე თაფლით იკვებებოდნენ. ძველი საბერძნეთის მწერალი პიფაგორი ამტკიცებდა, რომ მან მიაღწია ღრმა მოხუცებადის (90 წელს) თაფლის წყალობით, რომ თუ თაფლი არა, ის უნდა მოკვდარიყო 50 წლისა, როდესაც ის დაავადმყოფდა. დემოკრიტმა, როდესაც იგრძნო სიკვდილის მოახლოება და არ უნდოდა მისი საყვარელი ქალები მოკლებოდნენ ცერერის მომავალ დღესასწაულებზე დროს გატარებას, განიგრძო სიცოცხლე თაფლით. არისტოტელიც ხამ თავის თხზულებებში თაფლს ისეთ თვისებას აწერს, რომელიც სიცოცხლეს უგრძელებს კაცს. თაფლს გარდა იმისა რომ წამლადაც ხმარობდნენ, ძველ დროში მთელ რუსეთში თაფლი და

თაფლის სასმელი საუკეთესო მასწავლებლობას შეადგენდა; უამისოდ ჰურის ქამა იგივე იყო, რაც ჩვენში უღვინობა. რუსეთში ზღაპარიც კი არ ითქმის ისე, ზედ არ დაატანონ: „МЕДЬ ВИНО ПИТЬ“.

თაფლი და თაფლის ღვინო წინად იმდენად გავრცელებული იყო, რომ ლხინი და ჭირი უიმათოდ არ იქნებოდა; თაფლის ღვინოს აწინდელი არაყის ადგილი ეჭირა და ხალხიც უფრო ჯანმრთელი იყო; ახლანდელი არაყი როგორ ასნეულებს კაცს, ამას ყველა კარგად ხედავს. ერთი ძველი რუსის იმ დროის მწერალი წმ. ვლადიმირის პირით ამბობს: „Руси есть веселіе пити, не можетъ безъ того быти“. ეს მაშინდელი „веселіе пити“ აწინდელ დროში თაფლის ღვინის მაგიერ ალკოგოლს აკუთვნეს სამუშაოდ.

თუმცა ჩვენში, საქართველოში, თაფლის ღვინოს არ აკეთებდნენ, რადგან ბუნებითი ღვინო გვქონია ჩვენ, მაგრამ თაფლს მაინც უკანასკნელი ადგილი არა სჭერია საქმელებში და აგრედვე ექიმობაშიაც.

უმეტესი ნაწილი თაფლის ექიმებისა რაღაც კენჭებსა რეცხავენ წყალში, ურევენ შიგ თაფლს და აძლევენ ავადმყოფს. თუ ავადმყოფი ამნაირი ექიმობით ხშირად იკურნება, ეს რასაკვირველია თაფლის წყალობით არის და არა კენჭებით. აწინდელმა სწავლულმა ექიმებმაც დიდი ყურადღება მიაქციეს თაფლს და ხმარობენ მას ბევრ ავადმყოფობის წინააღმდეგ. ჩვენშიაც და სხვაგანაც, როდესაც შაქარი ჯერ არ იყო, მის მაგიერ თაფლსა ხმარობდნენ, რომელიც, როგორც გამოკვლეული აქვს ერთ სწავლულ ნემეცს შენფელდს,



პირდაპირ სისხლს ემატება და დიდ სარგებლობასა და ძალას აძლევს ადამიანის სხეულს.

შენფელდის გამოკვლევით თაფლის კეთილმოქმედება სხეულზე დიდად მალა სდგას სხვა ყოველგვარ საკვებთან შედარებით. ფუტკრის მატლი, რომელიც თაფლით იკვებება, ხუთნახევარ დღის განმავლობაში წონაში მატულობს, დიდდება ათას ხუთასჯერ. ამასთან უფრო შესანიშნავი ის არის, რომ მატლისაგან შეთვისებული თაფლი სულ მთლად სისხლად იქცევა და ურგები აღარა რჩება-რა კუჭში, ამისათვის მატლს დახურული აქვს კუჭიდან გასავალი მილი და ეს უნდა იყოს იმისი მიზეზი, რომ მატლის უჯრა ყოველთვის წმინდა არის და არაფერი უწმინდურება არა არის ხოლმე იმაში, გარდა პერანგისა, რომელსაც სტოვეებს **მაჟიორი** ფუტკრად გადაქცევის დროს.

აქედან ადვილი მისახვედრია, რამდენად მარგებელი უნდა იყოს თაფლი კაცის სხეულისათვის. ამიტომ არის რომ ახლა გამოცდილი ექიმები რჩევას იძლევიან: „თუ გინდათ ბავშვები ჯანსაღი და ავადმყოფობიდანაც დაცულნი იყვნენ, თაფლი აქამეთო.“

შაქარი, იმის გარდა რომ მას თაფლთან შედარებით არაფერი დიდი სიკეთე არა აქვს, სწამლავს კბილებს და კუჭს იმ მავნებელი ქიმიური ნაწილებით, რომელნიც მასში რჩებიან სხვადასხვა ქიმიური საშუალებებით გაწმენდის დროს. ახლა ხშირად გვესმის „თაფლი მეზიზღებაო“; ჩვენ წინაპართ კი იმდენად ყვარებიათ იგი, რომ თაფლის გემოდღესაც არ არის ხალხში დავიწყებული. ხშირად გაიგონებთ: თაფლივით ტკბილიაო, ყელი ჩამთაფლაო; ბავშვები რომ კომლიან კერას შემოუსხდე-

ბიან გაიძახიან: „აქეთ თაფლით კვამლიო“ და სხვ.

მეფუტკრეობა თათრებსაც ღვთიურ საქმეთ მიაჩნიათ. როგორც მოგვითხრობს ბატონი ნ. შავროვი*), მათში არსებობს შემდეგი გადმოცემა: როდესაც წმ. იობი შეპყრობილ იქმნა საშინელი ავადმყოფობით ზ მატლები ღრღნიდნენ მის სხეულს, ის მადლობასა სწირავდა ღმერთს ზ სთხოვდა, რომ ამგანსაცდელს, რომლის ღირსიც ის გახდა, რაიმე სარგებლობა მოეტანა კაცობრიობისათვის. გადმოვარდებოდა თუ არა მისი სხეულიდან რომელიმე მატლი, ის აიყვანდა, დაისვამდა ისევ სხეულზე და ეტყოდა: იჯექი აქ და აკეთე შენი საქმე. ბოლოს, როდესაც მატლებმა მთელი ხორცი შეუჭამეს და ძვლები გამოჩნდნენ, ორი მატლი მოეკიდა გულს. „მოწყალეო ღმერთო, სთქვა მაშინ ტანჯულმა, მატლებმა შემიჭამეს ხორცი და მე ხმაც არ ამომიღია. ახლა ისინი მიაღწენ გულს, რომლითაც მე შენ გვევდრები. ნუ თუ იქამდის მიმიყვან, რომ მათ შესჭამონ ჩემი გულიც და მით მომისპონ შენი ვედრება“.

ღმერთმა უსმინა იობს და გამოუგზავნა მთავარანგელოზი გაბრიელი, რომელმაც ფრთებით მოაშორა მატლები იობის სხეულს. ერთი იმ ორ მატლთაგანი, რომელნიც გულზე იყვნენ მოკიდებულინი, ღმერთმა გადააქცია ფუტკრად და მეორე აბრეშუმის ქიად. პირველი უტკობს კაცს გემოს და ასაზრდოებს, მეორე მოსავს მას მშვენიერი სამოსელით. ბ-ნ შავროვს მოჰყავს კიდევ მეორე ლეგენდა ჩვენში გაგონილი: წინასწარმეტყველი, რომელსაც განსაცდელი მიაყენა ღმერ-

*) „Очеркъ пчеловодства въ Закавказиѣ“.

თმა, სცხოვრობდა მთის ახმატი-ხოხის ახლოს (ჩრდილოეთ-დასავლეთ ოსეთ-შია). ფუტკარი, რომელიც გაჩნდა ანგელოზის ფრთებით გადმოყრილი მატლებიდან, გაფრინდა ახმატი-ხოხის მთაზე. როდენივე ხნის შემდეგ ამ მთასთან გაიარა მონადირემ, უეცრად შეამჩნია უთვალავი გუნდი „ბუზებისა“, რომელნიც გუკუნით გამოდიოდნენ და შედიოდნენ გახეთქილ მაღალი კლდეში. მონადირეს უნდოდა ახლო ენახა, მაგრამ რადგანაც ძალიან მაღლობზე და ძნელი მისავალი იყო, ვერ შეასრულა თავისი სურვილი და ბევრის ცდის შემდეგ სახლში დაბრუნდა. შემდეგ წაიყვანა ერთი გამოცდილი კაცი და ორი თვე შეჰყურებდნენ ამ სანახავს. ბოლოს იღონეს, გააკეთეს მაღალი კიბე და ავიდნენ იმ ალაგს,

სადაც „ბუზები“ ირეოდნენ. ბუზები კლდეში ფიჭები თაფლით სავსე. გამოანგრიეს თუ არა ეს ფიჭები, დაეხვივნენ ფუტკრები და დაუწყეს მათ კბენა. გამწარებულებმა იშვირეს ხელი და ფეხი და გაეკანნენ შინისაკენ. როდესაც ფუტკრები მოიშორეს და იმ ადგილსაც დაშორდნენ, გასვრილ ხელებზე ენა აუსვეს და იგრძნეს სასიამოვნო სიტკბოება. მეორე წელს ზაფხულში კიდევ წავიდნენ ისინი იმავე „ბუზებთან“. ახლა უფრო სიფრთხილით მოიქცნენ: შეიხვიეს ყაბალახებით თავები, გააკეთეს ხის ქერქის ბოყვი (ხოკერი), ავიდნენ კლდეზე, ჩაჰყარეს ამ ბოყვიში ფუტკარი და წამოიყვანეს სახლში. მათ იღბალზე ფუტკარს დედაც ჩაჰყვა შიგ და ამ ნაირად გააშენა კაცმა პირველად ფუტკარი.

ყ. ჩხეიძე

ხილის საზოგადოებრივი გადარჩევა

1907 წლის გასულს პეტერბურგში შესდგა ეგრედწოდებული სამუდამო ტენნიკური კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა დაწესებულებების და საზოგადოების წარმომადგენელნი, სახელდობრ: ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი, მიწადმოქმედების და მიწად-მოწყობის მთავარ სამართველოსი, პეტერბურგის ბირჟის კომიტეტისა და რუსეთის სხვადასხვა მეხილეთა საზოგადოებისა.

ხსენებული კომისიის დაარსება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: რუსეთის აუარებელი ხილი, რომელიც შემოღვამით თავს იყრიდა პეტერბურგის ბაზარზე, არასოდეს კარგ ფასებში არ იყიდებოდა. ამის მიზეზი კი თავით ხილის პატრონები იყვნენ, რომელთაც არ იცოდნენ არც ხილის გადარჩევა

და არც იმის ყუთებში ჩაწყობა. ხშირად ერთდღივივე ყუთიდან სხვადასხვა ჯიშისა და ხარისხის ხილი ამოდიოდა. გადარჩევის დროს ყურადღებას არ აქცევდნენ ხილის სისალეს, მის გარეგნულ შეხედულობას და სხვ. ყველა ეს ხსენებულ საქონელს ფასს უკარგავდა, როგორც ადგილობრივ ისე სამზღვარ-გარეთის ბაზარზედ. ამისათვის პეტერბურგის ტენნიკურმა კომისიამ ამ საქმის მოსაწესრიგებლად, ესე იგი ხილის წესიერად გადარჩევა - ჩალაგებისათვის ერთი საზოგადო წესი შეიმუშავა, მთელი რუსეთისათვის.

გარდა ამისა პეტერბურგის ბაზარზე მოგროვილ ცნობების წყალობით, კომისიამ გადაარჩია უმთავრესი ხილის ჯიშები, რომელნიც შესაფერისნი არიან რუსეთის მეხილეობისათვის. სპეცია-

ლურად მომზადებულ პირების შემწეო- | ყოველი ჯიში ხილის სახეობაში
ბით კომისიამ გამოარკვია აგრედვე | ლიც მას მეცნიერებაში ეწოდება.

თავი I

ვაშლის ჯიშების სახელწოდება მეცნიერებაში და ბაზარში ხმარებული

ბაზრული სახელი.	მეცნიერებაში ხმარებული.	ქართულად.
არაბსკოე	არაბკა	არაბულა
ბელფლერ	კრასნოცვეტ	წითელყვავილა.
ბუმაჟნი რენეტ	შამპანსკი რენეტი	შამპანური რენეტი.
დნესტრეც	ნესტრეც	ნესტრეცი
კანდილ	კანდილ სინაპი	კანდილ სინაპი
კამლიკ	სერინკა	ნაცარა
კრასნი რენეტ	კრასნაია შტეტინკა	წითელი 'შტეტინური
კრასნი შაფრან	{ კოროლევსკაია კოროტკონოჟკა, ორლენსკი რენეტ*)	მოკლეყუნწა ორლენის რენეტი
მალინოვკა	სუისლევსკოე	ჟოლა
პეპინკა	პეპინკა ლიტოვსკაია	სარეპტული
პოლოსატი შაფრან	{ ზიმნიზოლოტოი პარმენ გოლდპარმენ	ოქროს რენეტი გოლდპარმენი
როზმარინ	{ ბელი იტალიანსკი როზმარინ	თეთრი იტალიანური როზმარინი
სინაპ	სარი სინაპი	სარი სინაპი
სკლიანკა	სკლიანკა	შუშა-ვაშლა
სერი ნალივ	ასტრახანსკოე ბელოე	ასტრახანის თეთრი
ჩორნოე დერეგო	სახარნოე ლიტოვსკოე	შაქარა-ვაშლა
შტრიფელ	{ Осенняя полосатка შტრეიფლინგ	ზოლებიანი ვაშლი შტრეიფლინგი

შენიშვნა. დანარჩენ ჯიშის ვაშლებს ბაზარშიაც იმ სახელებს უწოდებენ, რასაც მეცნიერებაში.

მსხლის ჯიშები

ამორეტ	ბერე-ლიგელ	ლიგელი
ბერე ალექსანდრ	ბერე-ბოსკ	ბერე-ბოსკი
ბერე იმპერიალ	ბერე-დილ	იმპერიალი
ვილიამს	კიურე	ვილიამსი
დიუშეს დ'ივერ	დონე დ'ივერ	ზამთრის დიუშესი
ჟოლტოე მასლო	დეკანკა ოსენნაია	დეკანკა
კოლმარ	პასს კოლმარ	კოლმარი
მარია ლუიზა	ლესნაია კრასავიცა	მარია ლუიზა
სენჟერმენ კრიმსკი	სენჟერმენ	სენჟერმენი
ფერდინანდ	ბერე არდანპონ	არდანპონი

*) ორი სხვადასხვა ჯიშის ვაშლებს ბაზარში ერთ სახელს უწოდებენ.



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

თავი II

ხილის სხვადასხვა ხარისხებად დაყოფა *)

ყველა ჯურა ხილი კომისიამ სამ ჯგუფად დაჰყო, სახელდობრ:

- 1-ლი ჯგუფი—ძვირფასი ხილი
- 2 " —საშუალო ფასისა
- 3 " —იაფფასიანი.

პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ვაშლის შემდეგი ჯიშები:

შაქარ-ვაშლა, კანდილ-სინაპი, ორლენის რენეტი, ოქროს რენეტი, ზამთრის თეთრი კალვილი, წითელყვავილა, როშმარინი, ნაპოლეონ, ზოლიანი და რენეტ სიმირენკო.

მსხლის ჯიშებიდან: ზამთრის დეკანკა (ნაგალა ხეებიდან), ფერდინანდი, ბერე ალექსანდრე, ამორეტი, პასსკრასსანი, დიუშეს-დ'ანგულემ, ბერგამოტი, დიუშეს თურქესტანური, ოლივიე დე სერ და კოლმარი.

მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ვაშლები: ტიტოვკა, ბოროვიჩკა, ანტონოვკა, აპორტ, შტრიფელი, ანისი, წითელი რენეტი, არაბულა, შუშავაშლა, პეპინკა, სინაპი, ინგლისური რენეტი, კანადის რენეტი, ჟოლა, წაბლა, ალალი, ლამაზა, სარატოვკა, მსხვილ-ფოთოლა, ჩინური, ჩერნოგუზი, ტიროლის ვაშლი, ნესტრეცი.

მსხლები: იმპერიალი, სენჟერმენი, ვილიამსი, როიალი, ქარვა-მსხალი, მარიამ ლუიზა, ვირგულენი, სალხინო, ჯოდუანა.

მესამე ჯგუფის ვაშლები: სკრიჟაპელი, ვარგულა, კურკა-ვაშლა, ხოკერა, მსხმოიარე, ნაცარა, მწვანე.

მესამე ჯგუფის მსხლები: ილინკა, უთესლო, დვინია, ფრანც მადამ, ლი-

*) მსუქანი ასობით დაბეჭდილ სახელები ბაზრისათვის საუკეთესო ჯიშებია.

მონგვარი, ოდროგელა, კობრული, გემოტკბილი, პანნა.

თავი III

ვაშლისა და მსხლის პირველი ჯგუფის გადარჩევის დროს სახეში უნდა იქონიოთ:

- 1) ნაყოფის წონა, 2) სისუფთავე და 3) ნაყოფის მოყვანილობა.

ამნაირად პირველ ხარისხის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს: სუფთა, სწორე მოყვანილობისა და რიგზე შემოსული ნაყოფი.

წონის მხრივაც ნაკლები არ უნდა იყოს იმ წონაზე, რომელიც მოყვანილია ტაბულაში. თავის წონის მიხედვით ხილი უნდა გაიყოს ასე: მსხვილი, საშუალო სიმსხოსი და წვრილი.

მეორე ხარისხის ხილათ უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნაყოფი, რომელიც პირველ ხარისხზე ღირსებით ცოტა ნაკლებია.

ანარჩევი იქნება კუტმატი, ჭიანი და დაბეჭილი ხილი. ანარჩევი ხილი სჯობია ადგილობრივ გასაღდეს, რადგან იმისი პეტერბურგში გაგზავნა საზოგადოდ ზარალის მეტს არას მოიტანს.

პირველი ჯგუფის ხილი

ვაშლი

კანდილ-სინაპი

მარკა.		ასი ცალი ნაყოფის წონა.
I ხარის.	მსხვილი	32—38 გირ.
I "	საშუალო	26—30 "
I "	წვრილი	21—25 "
II "	ოთხ რიგათ (ორფუთიან ჩაწყობილი (ყუთებში.	
II "	ხუთ რიგიანი.	
III "	ანარჩევი.	



მოკლე ყუნწა და ორლენის რენეტი

მარკა.	ასი ც. ნ. წონა.
I ხარის.	მსხვილი 32—38 გირ.
I „	საშუალო 25—30 „
I „	წვრილი 18—24 „
II „	ოთხ რიგათ { ორფუთიან ჩაწყობილი } ყუთებში.
II „	ხუთ რიგიანი.
III „	ანარჩევი.

შამპანური რენეტი

მარკა.	ასი ც. ნ. წონა
I ხარის.	მსხვილი 32—36 გირ.
I „	საშუალო 26—30 „
I „	წვრილი 20—24 „
II „	ოთხ რიგათ { ორფუთიან ჩაწყობილი } ყუთებში.
II „	ხუთ რიგიანი.
III „	ანარჩევი.

ზამთრის თეთრი კალვილი, სამეფო კალვილი ღ რენეტი სიმირენკო

მარკა.	ასი ც. ნ. წონა.
I ხარის.	მსხვილი 36—40 გირ.
I „	საშუალო 30—34 „
I „	წვრილი 22—28 „
II „	ოთხ რიგათ { ორფუთიან ჩაწყობილი } ყუთებში.
II „	ხუთ რიგიანი.
III „	ანარჩევი.

ბელფლერი და ზოლიანი

მარკა.	ასი ც. ნ. წონა.
I ხარის.	მსხვილი 42—48 გირ.
I „	საშუალო 34—40 „
I „	წვრილი 24—32 „
II „	ოთხ რიგათ { ორფუთიან ჩაწყობილი } ყუთებში.
II „	ხუთ რიგიანი.
III „	ანარჩევი.

როზმარინი

მარკა.	ასი ც. ნ. წონა.
I ხარის.	მსხვილი 34—38 გირ.
I „	საშუალო 28—32 „
I „	წვრილი 24—28 „
II „	ოთხ რიგათ { ორფუთიან ჩაწყობილი } ყუთებში.
II „	ხუთ რიგიანი.
III „	ანარჩევი.

ოქროს რენეტი და გოლდპარმენი.

მარკა.	ასი ც. ნ. წონა.
I ხარის.	მსხვილი 34—40 გირ.
I „	საშუალო 26—32 „
I „	წვრილი 18—25 „
II „	ოთხ რიგათ { ორფუთიან ჩაწყობილი } ყუთებში.
II „	ხუთ რიგიანი.
III „	ანარჩევი.

შაქარა-ვაშლა

მარკა.	ასი ც. ნ. წონა.
I ხარის.	მსხვილი 30—36 გირ.
I „	საშუალო 24—28 „
I „	წვრილი 18—23 „
II „	ოთხ რიგათ { ორფუთიან ჩაწყობილი } ყუთებში.
II „	ხუთ რიგიანი.
III „	ანარჩევი.

მ ს ს ლ ე ბ ი

არდანპონი

მარკა.	ასი ც. ნ. წონა.
I ხარ.	ძალიან მსხვილი 52—60 გ.
I „	მსხვილი 45—50 „
I „	საშუალო 36—42 „
I „	წვრილი 28—34 „
II „	სხვადასხვა სიმსხოს.
III „	ანარჩევი.

ზამთრის დიუმესი

I ხარ.	ექვსჯვრიანი წო- ნით თითო 120 მის.
I „	ხუთჯვრიან „ 72 „
I „	ოთხჯვრიანი „ 66 „



I ხარ. სამჯვრიანი	„	53 მისხ.
I „ ორჯვრიანი	„	37 „
I „ ერთჯვრიანი	„	33 „
I „ უჯვრო	„	30 „

მეორე ხარისხით ითვლება იგივე ზომისა და წონისა ხალო რომელთაც მოყვანილობა არა აქვთ სწორე და არც ისეთი სუფთა კანიანები არიან, როგორც I ხარისხისანი.

ოლივიე დე-სერ.

I ხარ. მსხვილი	36—40 გირ.
I „ საშუალო	28—34 „
I „ წვრილი	18—26 „
II „ სხვადასხვა სიმსხოსი	
	უანარჩეოთ სხვადასხვა.

დიუმეს დ'ანგულემ

I ხარ. ძალიან მსხვილი	44—50 გირ
I „ მსხვილი	36—42 „
I „ საშუალო	30—34 „
I „ წვრილი	22—28 „
II „ სხვადასხვა სიმსხოსი	
	უანარჩეოთ სხვადასხვა.

მეორე ჯგუფის ხილი

ვაშლები

მეორე ჯგუფის ხილი უნდა გადირჩეს ნაყოფის სისუფთავის და მოყვანილობის მიხედვით.

პირველ ხარისხში უნდა მოექცეს მხოლოდ ის ხილი, რომელიც სუფთა და სწორე მოყვანილობისაა. დანარჩენი—გარდა ანარჩევისას—მეორე ხარისხში.

აქედან გამონაკლისს შეადგენენ მართლ სამი ჯიშის ვაშლები: **სარისინაპი, ინგლისური რენეტი და კანადის რენეტი.** სარისინაპის გადასარჩევად მიღებულია სულ სხვა წესი. დანარჩენი

ორი ჯურა ვაშლები კი უნდა გადაირჩეოს ისე, როგორც მეორე ჯგუფის ხილი

სარისინაპი:

I ხარ. მსხვილი	4 რიგ. 32—36	} კუბონი.
I „ საშუალო	5 რიგ. 26—30	
I „ წვრილი	6 რიგ. 20—15	
I „ თავზედ		

ინგლისური რენეტი:

I ხარის. მსხვილი	36—40 გირ.
I „ საშუალო	30—34 „
I „ წვრილი	26—30 „
II „ ოთხ რიგიანი	{ ორ ფუთიან
II „ ხუთ რიგიანი	{ ყუთში.
III „ ანარჩევი	

კანადის რენეტი

I ხარის. მსხვილი	40—42 გირ.
I „ საშუალო	34—36 „
I „ წვრილი	28—32 „
II „ ოთხ რიგად	{ ორ ფუთიან
II „ ხუთ რიგად	{ ყუთში.
III „ ანარჩევი.	

მსხლები

სენჟერმენი

I ხარის. მსხვილი	36—40 გირ.
I „ საშუალო	28—34 „
I „ წვრილი	18—26 „
II „ სხვადასხვა	უანარჩეოთ
I ხარის. მსხვილი	45—55 გირ.
I „ საშუალო	35—40 „
I „ წვრილი	25—32 „
II „ სხვადასხვა	უანარჩეოთ.

როიალი

I ხარ. მსხვილი	36—40 გირ.
I „ საშუალო	28—34 „
I „ წვრილი	18—26 „
II „ უანარჩეოთ	სხვადასხვა.



ქარვა მსხალი და მარია ლუიზა

I ხარ.	მსხვილი	36—40 გირ.
I „	საშუალო	28—34 „
I „	წვრილი	98—26 „
II „	სხვადასხ. სიმს. უანარჩეოთ.	

იმპერიალი, სალხინო და ეოდუანა

I ხარ.	ძალიან მსხვილი	44—50 გ.
I „	მსხვილი	36—42 „
I „	საშუალო	30—34 „
I „	წვრილი	22—28 „
II „	სხვადასხ. სიმს. უანარჩეოთ.	

მესამე ჯგუფის ხილი

მესამე ჯგუფის ხილი ვაშლი და მსხალი შეიძლება გადაირჩეს ორ ხარისხად: პირველ ხარისხად და ანარჩევად (წვრილი ჭიანი, ხალიანი და სხვა.)

საზოგადო შენიშვნა

ამ წერილში გამოშვებული ჯურა ხილის გადარჩევის წესი: ნაპოლეონი, ბერ-ალექსანდრე, პას-კრასან და ბერგამოტი.

ზემო მოყვანილ წონების ნორმა ნავარაუდევია დაკრფის დროს ადგილობრივ ბაღებში, მხოლოდ სახეში უნდა იქონიოთ, რომ მგზავრობის დროს ხილს მუდამ 2¹/₂% დააკლდება წონაში.

ორთა შუა წონის ხილი ეკუთვნის დაბალ მარკიან საქონელს.

რაც შეეხება მეტად მსხვილ ხილს, რომელიც არ შეიძლება მიეწეროს იმ პირველ ხარისხის ხილს, რომელიც ნაჩვენებია ზემო მოყვანილ ტაბულაში, ასეთ საქონელს უნდა უწოდოთ „ექსტრა“. ასეთ მსხვილ ხილს საზოგადოდ აწყობენ ცალობით. თითო ყუთში 6--12 ცალს და ფასსაც ცალს ადებენ.


(შემდეგი იქნება)

შინაურ ცხოველთა ტანში შეკვრა ანუ ეაზობა

ტანში შეკრული ცხოველი დაზანებულია, საკმელს ცოტას სჯამს და მასაც უმადურად; მოუსვენარობს; მალმალ მუცელზე იხედება, იქინთება, გარედ გასვლას ჰლამობს, მაგრამ უჭირს; მოხდება ხოლმე, რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში გარედ ვერ გადის; ასეთ შემთხვევაში ცხოველს მუცლის ბერვაც აუტყდება. განავალი წარმოადგენს პატარ-პატარა მშრალ კუმშებს, რომელთაც ლორწო აქვთ გარედან შემოკრული.

მიზეზი. ტანის შეკვრა უმეტეს შემთხვევაში ცუდი საკმელ-სასმელისაგან გამოიწვევა, მაგ. იგი შეიძლება გამოწვეულ იქმნეს ხმელი, უნაოყვრო და

მოუხეშავი საკმელით; მეტი მთავე, დამპალი ან დაობებული საკმელ-სასმელით; დაუდექავი და დაუნერწყავი საკმლის მიღებით და სხვა. ამის გარდა შეიძლება იგი გამოიწვიოს აგრედვე უზომოთ გაძლომამ; ნედლი საკვებიდან ხმელზე გადასვლამ; ნაოფლარზე და დაღლილ გულზე სასმელ-საკმელის მიღებამ; საკმელთან ჩაყოლილი რამე გარეშე სხეულის გახარხებამ წელებში (მაგ. მჩვრის ან მატყლის კუმშები, სილა და სხვა); უმოძრაობამ (მაგ. დაბმული ძაღლები ან-და ისეთი ცხოველები, რომელთაც პატრონები მეტად ზოგავენ და ძლიერ ცოტას ამუშავენ, ნაკლებ მოძრაობაში არიან, — ასეთ



მდგომარეობაში ცხოველს სხვა ძალასთან სტომაქის ძალაც უღუნდება და საკმელს კარგად ვერ ინელებს) და სხ.

ექიმობა. პირველად უნდა ვეცადოთ ცხოველს ტანი გავუწმინდოთ. ამისთვის ჯერ გავუკეთებთ ოყნას ნელ-თბილი წყლით, რომელშიც კარგი იქნება თუ რომელიმე ზეთს შევუკრავთ ცოტას (კასტორის, ზეთუნის, სელის, კანაფის, ან რომელიმე საკმელი ზეთი) ან-და ცოტა საპონს გავხსნით შიგ *).

მსხვილფეხა ცხოველებს ოყნის გაკეთების წინ შევუყობთ ხელს უკანა ნაწლევში და რაც შიგ ნეხვი იქნება გარედ გამოვიტანთ.

ოყნის მერმეთ მივცემთ ცხოველს რომელიმე გასაფაღარათებელ საშუალებას. საფაღარათო საშუალებები არიან: 1) გლაუბერის მარილი, 2) ინგლისის მარილი, 3) საბრი (ცხენისათვის 7 მისხალი,—მოვცომავეთ ერთ ღვინის სტაქან პურის ფქვილთან ერთად წყლით და ამ ცოლს გადავყლაპვით ცხენს); 4) სინა მანქის ფოთოლი,

5) რევანდი, 6) კასტორის ზეთი, 7) ზეთუნის ზეთი, 8) სელის ზეთი 9) ყველა საკმელი ზეთები **).

უბრალო შემთხვევაში ცხოველს რომ ყვანა აღეძრას, საკმაო მუცელი დაეზილოს. მუცელი უნდა დაეზილოთ სკიპიდარით. დავასველებთ სკიპიდარში მჩვარს ან ნამჯას და დაუზელთ მუცელს.

სანამდის ტანი არ გაეწმინდება ცხოველს, საკმელი არ უნდა მივცეთ, მერმე კი უნდა ვაძლიოთ ხშირ-ხშირად, ცოტ-ცოტა.

პირველ ხანებში საკმელი უნდა ვაძლიოთ წვნიანი და ადვილად მოსანელებელი: წყალში გათქვეფილი ფქვილი, მოხარშული ქართოფილი, ბრინჯის წვენი, მოხარშული კვახი, რძე, რძის შრატის ფაფა, ხორცის წვენი და სხვა.

სასმელად მუდამ ექნება სუფთა და ცივი წყალი; ხანდისხან შიგ ცოტა საკმელ მარილს შევუკრავთ ბალახის მკამელ ცხოველებისათვის.

გრ. ცხადაძე

საყურადღებო ცნობები

ახალი ჯიშის კართოფილი „მიკადო“ ერთ მემამულეს საცდელად მოსკოვიდან გამოუწერია 5 გირვანქა ამ კართოფილისა. ხუთ გირვანქაში ყოფილა სულ 13 ცალი. აქედან მხოლოდ 7 ცალი დაუჭრია კვირტებზედ, მოუყარია ზედ დაფქული ნახშირი, და როდესაც ეს უკანასკნელი შემშრალა, დაუთესია წინაღვე მომზადებულ მიწაში, რომელიც უფრო თიხანარევი ყოფილა; მიწა გაუბატიებია შემოდგომაზე გადამწვარი ცხენის პატივით. რადგან

*) ოყნა როგორ უნდა გაუკეთდეს ცხოველს და ამისათვის როგორი იარაღები უნდა ვიხმაროთ,—ეს ნაჩვენებია „**მოსავლის**“ 1910 წლის № 6-ში, ჩემ წერილში.

პირველი ცდა ყინვისაგან გაფუჭებულა, მეორედ დაუთესნია კიდევ 40 ცალი კვირტი, წონით 2 გირვანქა.

შემოდგომაზე ამ 40 კვირტებისაგან, ესე იგი 2 გირვანქა კართოფილიდან მიუღია 2 ფუთი და 32 გირ. კართოფილი. როგორც გამომცდელი იწერება ამ ახალ ჯიშს როგორც სანახაობა ისე გემოც საუცხოვო აქვს.

) საფაღარათო საშუალებების შესახებ, თუ რომელ ცხოველს რა ზომით და რანაირად უნდა მივალბინოთ,—ნაჩვენებია „მოსავლის**“ 1910 წლის № 21 და № 22-ში, და 1911 წლის № 6-ში, ჩემ წერილებში.



სიმინდის თესლის არჩევა. სიმინდს ყველგან ერთდარიგივე მიზნით—**სატაროეთ** არა სთესავენ, როგორც ჩვენში.

მაგალითად ამერიკის შტატში მიჩიგანი სიმინდი ითესება ან **სატაროეთ** ან და **საფუჩეჩეთ** საქონლის საკმელად. როცა სიმინდი სატაროეთ ითესება, მაშინ სასურველია რომ მან დიდი ტარო გაიკეთოს კარგის მარცვლებით.

მეორე შემთხვევაში კი მსხვილი, ხორციანი და მრავალ ფოთლიანი ფუჩეჩია (ჩალა) სასურველი. ამიტომ თესლის არჩევის დროს უნდა ვიცოდეთ, რა მიზნით ვთესავთ სიმინდს.

სატაროეთ თესლი უნდა აირჩეს ჯერ ისევე ფეხზე ნაღვამ სიმინდში, მოჭრამდე. თუ ეს არ მოხერხდა და სიმინდი ფუჩეჩიანად მოიჭრა, მაშინ სათესლე ტაროები უნდა აირჩეს, სანამ ტაროს მოვაშორებთ ფუჩეჩს, რათა ვიცოდეთ: რანაირ ღეროზე იყო ტარო გაკეთებული; მაღლა იყო გამოტანილი ტარო თუ დაბლა; ერთი იყო, თუ ორი ტარო ება; ტარო პირადად იდგა ღეროზე მიკრული, თუ ცოტა თავგადაწეული იყო ღეროდან განზე.

ყველა ამას მნიშვნელობა აქვს სათესლე მარცვლების ღირებებს გამოკვლევაში.

სათესლე ტაროები რომ ვტეხავთ, მაშინვე არ უნდა გაიფუჩინენ, არამედ თავის ფუჩეჩშივე შეხვეული უნდა ინახებოდნენ მთელი ზამთარი და მხოლოდ დათესის წინა დღით გაიფუჩინენ და დამარცვლდნენ.

ღერო, რომლიდანაც ვიღებთ სათესლე ტაროს, არ უნდა იყოს ძალიან მაღალი, ან ძალიან დაბალი. მაღალს ფეხზე მდგომს ადვილად გადაამტვრევს ქარი, დაბალს კიდე შეიძლება ნამგალი მოხვდეს მოჭრაში და გააფუჭოს.

ტარო რომ ღეროდან ცოტა თავგადახრილი იყოს განზე უმჯობესია, ვიდრე პირდაპირ მაღლა თავაშვებრილი იყურებოდეს, რადგან ასეთ შემთხვევაში ტაროს წვიმის წყალი შეიძლება ჩაუვიდეს შიგ და მარცვალი დააყანდოს.

რომელ ღეროზედაც ორი ტაროა გამოტანილი, იქიდან გვირჩევენია სათესლე ტაროს აღება, რადგან ცალად გამოტანილი ტაროს მარცვლებიდან უფრო ადვილი მოსალოდნელია, რომ თითო ტაროიანი სიმინდი ამოვიდეს მომეტებულ ნაწილად ჯიშის მიდევნებაზე.

სიმინდის ტაროს წვერი და ძირი თითქმის ერთნაირი სიმსხოსი უნდა ჰქონდეს და არა ძირში მსხვილი იყოს და წვერისაკენ კი ძალიან წვერილი.

სადაც კარგი მოსავალი მოდის სიმინდისა, იქ კარგ სათესლე ტაროთ ითვლება სიგძით 9 დიუმი და სისქით ირგვლივ 7 დიუმი.

მარცვალი ნაქურზე უნდა იჯდეს ღრმად და ადვილი ამოსაღები იყოს ბუდიდან.

ვისაც დიდი ხლადბუნები აქვს, ის სათესლე სიმინდს ცალკე სთესავს და აქედან არჩევს უკეთეს ტაროებს სამერმისოდ დასათესად.

განცხადება

ჟურნალ „მოსავალს“ მოუვიდა ლონდონიდან შემდეგი ორი წინადადება:

1. თხოულობენ ქიზიყის თამბაქოს 4000 ფუთამდე. იძლევიან **კარგ ფასს**. მყიდველი ჩაიბარებს თამბაქოს ბათუმში ჩატანილს. თამბაქო უნდა იყოს **ღია ფერისა (არა მუქი)** და მასთან **რბილი**.

2. თხოულობენ ბამბის თესლს (კურკას) 30,000 ფუთამდე **65 მანეთობაზე ტონა** ანუ **62 ფუთი**. ვისაც სურს ისარგებლოს ამ შემოკვეთით, მან უნდა ნ გირ. კურკა წარმოუდგინოს „მოსავლის“ რედაქციას ნიმუშად გასაგზავნად ლონდონში ფოშტით.

დაწერილებით პირობები გამოირკვევიან მაშინ უკეთუ გაგზავნილი ნიმუშები იქნებიან მოწონებულნი.